გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 11/06/2013

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №0613/10-1

2013 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №1 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომერი 127 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, ნომერი 83 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული რედაქციით.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსა-მყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
127	***სახელები:*** 1 ფაზლი (FAZL) 2. რაბი (RABI) 3. 4. ***დაბ. თარიღი:*** ა) 1972 ბ)1975 ***დაბ. ადგილი*** : ა) კოჰე საფის რაიონი, პარვანის პროვინცია, ავღანეთი (Kohe Safi District, Parwan Province, Afghanistan); ბ) კაპისას პროვინცია, ავღანეთი (Kapisa Province, Afghanistan); გ) ნანგარარის პროვინცია, ავღანეთი (Nangarhar Province, Afghanistan); დ) ქაბულის პროვინცია, ავღანეთი (Kabul Province, Afghanistan). ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** ავღანელი	ა) ფაზლ რაბი (Fazl Rabbi); ბ) ფაზალ რაბი (Fazal Rabi); გ) ფაიზალ რაბი (Faisal Rabbi).	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**06.01.12** (ცვლილებები 31.05.13)	თალიბანის რეჟიმი, მაღალი თანამდებობის პირი პროვინცია კონარში (Konar Province). ავღანეთი/პაკისტანის საზღვარზე მდებარე Haqqani Network–ის წარმომადგენელი, მისი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მხარდამჭერი. თალიბანის ფინანსური საბჭოს (Taliban Financial Council) წევრი. იმოგზაურა საზღვარგარეთ სირაჯუდინ ჯალალუდინ ჰაქანის (Sirajuddin Jallaloudine Haqqani), ჯალალუდინ ჰაქანის (Jalaluddin Haqqani), Haqqani Network-ისა და თალიბანისთვის (Taliban) ფულადი სახსრების შეგროვების მიზნით. სავარაუდოდ იმყოფება ავღანეთი/პაკისტანის საზღვარზე.

დანართი №2

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6
83	AL-QAIDA IN IRAQ	ა) AQI; ბ) al-Tawhid; გ) the Monotheism and Jihad Group; დ) Qaida of the Jihad in the Land of the Two Rivers; ე) Al-Qaida of Jihad in the Land of the Two Rivers; ვ) The Organization of Jihad's Base in the Country of the Two Rivers; ზ) The Organization Base of Jihad/Country of the Two Rivers; თ) The Organization Base of Jihad/Mesopotamia; ი) Tanzim Qa'idat Al-Jihad fi Bilad al-Rafidayn; კ) Tanzeem Qa'idat al Jihad/Bilad al Raafidaini; ლ) Jama'at Al-Tawhid Wa'al-Jihad; მ) JTJ; ნ) Islamic State of Iraq; ო) ISI; პ) al-Zarqawi network. ჟ) Jabhat al Nusrah რ) Jabhet al-Nusra ს) Al-Nusrah Front ტ) The Victory Front უ) Al-Nusrah Front for the People of the Levant ფ) Islamic State in Iraq and the Levant		**18.10.04** (ცვლილებები 02.12.04 05.03.09 13.12.11 30.05.13)	